ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის

მუშათა და გლეხთა მთავრობის

კანონთა და განკარგულებათა კრებული

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს
საქმეთა მმართველობის გამოცემა

1938 წ. მაისის 25 № 13 თბილისი.

შინაარსი

ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის დადგენილებანი

57. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნებში სხვა მოკავშირე და ავტონომიურ რესპუბლიკათა ამომრჩევლებისათვის ხმის მიცემის უფლების მინიჭების შესახებ.

58. საქართველოს სსრ ტერიტორიაზე სამგზავრო მატარებლებსა, რკინიგზის სადგურებსა და ნავთსადგურებში საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების საარჩევნო უბნების შექმნის შესახებ.

სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებანი

59. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან არსებული სამეცნიერო-საკვლევო ინსტიტუტების რეორგანიზაციის შესახებ.

60. საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოში სახალხო კომისარიატების მიერ საკითხების შეტანის შესახებ.

61. იმ დოკუმენტების ნუსხის დამატების შესახებ, რომლებითაც გადახდევინება სწარმოებს სანოტარო ორგანოების სააღსრულებო წარწერების საფუძველზე.

62. თელავის რაიონში 1938 წელს საგაზაფხულო კულტურების თესვის გეგმის შესახებ.

63. 1938 წლის მოსავლის თამბაქოს კონტრაქტაციისა და დამზადების გეგმის შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის დადგენილება

004.0

57. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნებში ხმა მოკავშირე და ავტონომიურ რესპუბლიკათა ამომრჩევლებისათვის ხმისმიცემის უფლების მინიჭების შესახებ.

საქართველოს სსრ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმი ადგენს:

1. საქართველოს სსრ კონსტიტუციის მე-18 მუხლის საფუძველზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნებისას ხმისმიცემის უფლება მიენიჭოთ იმ ამომრჩევლებს, რომელთაც მიუღიათ „ხმისმიცემის უფლების მოწმობა“ სხვა მოკავშირე და ავტონომიურ რესპუბლიკათა უმაღლესი საბჭოების არჩევნებში მონაწილეობისა იმ შემთხვევაში, თუ ისინი ჩამოვიდნენ საქართველოს სსრ ტერიტორიაზე და წარმოადგინეს პირადობის მოწმობა და „ხმისმიცემის უფლების მოწმობა“.

2. სხვა მოკავშირე და ავტონომიურ რესპუბლიკათა ამომრჩევლებისათვის, რომლებიც სამთაბაროდ იმყოფებიან საქართველოს სსრ ტერიტორიაზე, მოკავშირე და ავტონომიურ რესპუბლიკათა შესაბამის ცაკთა პრეზიდიუმების ნებართვით შეიძლება შეიქმნას, არანაკლებ 25 ამომრჩევლის რაოდენობით, საარჩევნო უბნები, რომლებიც შევლენ მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკის საარჩევნო ოლქში.

საქ. სსრ ც. ა. კ-ის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

საქ. სსრ ც. ა. კ-ის მდივნის მ. ა. **ვ. ბუჯიაშვილი.**

1938 წ. აპრილის 27.
თბილისი.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის“ 97 №-ში 1938 წ. აპრილის 28, № 261.

00 ეროვნული ბიბლიოთეკა

58. საქართველოს სსრ ტერიტორიაზე სამგზავრო მატარებლებსა, რკინიგზის სადგურებსა და ნავსადგურებში საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების საარჩევნო უბნების შექმნის შესახებ.

საქართველოს სსრ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმი ადგენს:

1. მატარებლებში—ბაქო—ბათუმი № 74; ბათუმი—ბაქო № 73; თბილისი—კილასური № 76; კილასური—თბილისი № 75; თბილისი—ბორჯომი უკან დაბრუნებით № 54/53; თბილისი—ბორჯომი № 56; წნორის-წყალი—თბილისი № 66; თელავი—თბილისი № 68; თბილისი—თელავი № 79; ფოთი—ქუთაისი უკან დაბრუნებით № 70/69 დაშვებულ იქნას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების საარჩევნო უბნების შექმნა.

2. ზემოაღნიშნულ მატარებლებში შექმნილი საარჩევნო უბნები მიეწეროს შემდეგ საარჩევნო ოლქებს: ბაქო—ბათუმი № 74—კოლხიდის საარჩევნო ოლქს № 7 (თბილისში); ბათუმი—ბაქო № 73—ბათუმის ფრუნზეს საარჩევნო ოლქს № 221; კილასური—თბილისი № 75—სოხუმის საარჩევნო ოლქს № 198; თბილისი—კილასური № 76—„პრავდა"-ს საარჩევნო ოლქს № 4 (თბილისში); წნორის-წყალი—თბილისი № 66—საქობოს საარჩევნო ოლქს № 96; თელავი—თბილისი № 68—თელავის საარჩევნო ოლქს № 105; თბილისი—ბორჯომი უკან დაბრუნებით № 54/53—რკინიგზის საარჩევნო ოლქს №3 (თბილისში); თბილისი—ბორჯომი № 56—რკინიგზის საარჩევნო ოლქს № 3 (თბილისში); თბილისი—თელავი № 79 ვოროშილოვის საარჩევნო ოლქს № 2 (თბილისში); ფოთი—ქუთაისი უკან დაბრუნებით № 70/69—ფოთის ნავსადგურის საარჩევნო ოლქს № 194.

3. საქართველოს სსრ უმაღლეს საბჭოს არჩევნების საარჩევნო უბნების შექმნა დაშვებულ იქნას—თბილისის, ხაშურის, შორაპნის, რიონისა და სამტრედიის რკინიგზის სადგურებში.

4. რკინიგზის სადგურებში შექმნილი საარჩევნო უბნები შევლენ იმ ოლქებში, რომელთა ტერიტორიაზედაც იმყოფება სადგური.

5. დაშვებულ იქნას საქართველოს სსრ უმაღლეს საბჭოს არჩევნების საარჩევნო უბნების შექმნა ბათუმის, ფოთისა და სოხუმის ნავსადგურებში.

6. საქართველოს სსრ უმაღლეს საბჭოს არჩევნების საარჩევნო უბნებს ქმნიან და საუბნო საარჩევნო კომისიებს ამტკიცებენ ის რაიაღმასკომები, საარაიონო და საქალაქო საბჭოები, რომელთა ტერიტორიაზედაც მდებარეობენ ხსენებული რკინიგზის სადგურები, ნავსადგურები და ის ოლქები, რომლებზედაც ამ დადგენილებით ესა თუ ის მატარებლები არიან მიწერილნი.

საქ. სსრ ც. ა. კ-ის თავმჯდომარე ფ. **მახარაძე.**

საქ. სსრ ც. ა. კ-ის მდივნის მ. ა. ვ. **ეგნატაშვილი**

1938 წ. მაისის 25.
თბილისი.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის" 118 №-ში 1938 წ. მაისის 26, № 262.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილება

314

59. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან არსებული სამედიცინო-საკვლევო ინსტიტუტების რეორგანიზაციის შესახებ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

აღინიშნოს, რომ სამეცნიერო-საკვლევო კადრების დაქსაქსვის გამო (შეთავსებით მუშაობა ბევრ ადგილას) სამეცნიერო-საკვლევო მუშაობა სახელმწიფო უნივერსიტეტის კათედრებთან დაყენებულია არადამაკმაყოფილებლად.

სახელმწიფო უნივერსიტეტში სამეცნიერო-საკვლევო მუშაობის, აგრეთვე სასწავლო მუშაობის ყოველმხრივ გაუმჯობესების, სამეცნიერო და მასწავლებელთა კადრების რაციონალურად გამოყენების მიზნით და შესაბამისად სსრ კავშირის სახკომსაბჭოს 1937 წლის 11 ნოემბრის დადგენილებისა „უმაღლეს სასწავლებლებში საშტატო თანამდებობისა და პროფესორ-მასწავლებელთა შემადგენლობის სათანამდებობო განაკვეთების შემოღების შესახებ“, საქართველოს სსრ სახკომსაბჭო ადგენს:

1. მოხდეს ლიტერატურის შოთა რუსთაველის სახელობის სამეცნიერო-საკვლევო ინსტიტუტის, ფიზიოლოგიის ბერიტაშვილის სახელობის ინსტიტუტის, გეოლოგიური, ფიზიკური, გეოგრაფიული სამეცნიერო-საკვლევო ინსტიტუტების რეორგანიზაცია და გაერთიანებულ იქნან ისინი სახელმწიფო უნივერსიტეტის სათანადო კათედრებთან.

2. დაწესდეს სამეცნიერო-საკვლევო ინსტიტუტების რეორგანიზაციის შემდეგი წესი:

ფიზიოლოგიის ინსტიტუტი გაერთიანდეს ფიზიოლოგიის კათედრასთან.

გეოგრაფიული ინსტიტუტი—ფიზიკური გეოგრაფიის, კლიმატოლოგიისა და ჰიდროლოგიის, ეკონომიური გეოგრაფიის კათედრებთან.

ფიზიკის ინსტიტუტი—თეორიული ფიზიკის, ექსპერიმენტალური ფიზიკის და საერთო ფიზიკის კათედრებთან.

ლიტერატურის რუსთაველის სახელობის ინსტიტუტი—ძველი ქართული ლიტერატურის, ახალი ქართული ლიტერატურის, ევროპის ლიტერატურის, რუსული ლიტერატურის, აღმოსავლეთის ენების კათედრებთან.

3. ინსტიტუტების ლაბარატორიები, კაბინეტები და მთელი ქონება გადაეცეს სახელმწიფო უნივერსიტეტს.

4. წინადადება მიეცეს სახელმწიფო უნივერსიტეტის დირექციას 1938 წლის 20 აპრილამდე საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარიატთან ერთად შეიმუშაოს კათედრების სამეცნიერო-საკვლევო მუშაობის გეგმა.

5. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარიატს ფინანსთა სახალხო კომისარიატთან ერთად დააწესოს კათედრების ადმინისტრაციულ-ტექნიკური პერსონალის სათანადო შტატები.

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარე **ვ. ბაქრაძე.**

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს საქმეთა მმართველის მ.დ.ა. **რ. ჭელიძე.**

1938 წ. აპრილის 15. № 470.
თბილისი

ეროვნული ბიბლიოთეკა
032.11
053.0

60. საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოში სახალხო კომისარიატების მიერ საკითხების შეტანის წესის შესახებ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

დაწესდეს, რომ ყველა საკითხს, რომელიც საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს წარედგინება, ხელს უნდა აწერდეს სახალხო კომისარი ან სათანადო დაწესებულების ხელმძღვანელი, ხოლო იმ შემთხვევაში, როდესაც ისინი თბილისში არ იმყოფებიან, მათი პირველი მოადგილე; თუ კი საკითხი მოითხოვს სხვა სახალხო კომისარიატებთან შეთანხმებას ან შეტანილია საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს მიერ გამოყოფილი კომისიისაგან, მას ხელს უნდა აწერდეს კომისიის ყველა წევრი და ის პირნი, რომელნიც სათავეში უდგანან სათანადო სახალხო კომისარიატს (დაწესებულებას).

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს თავმჯდომარე **ვ. ბაქრაძე.**

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს საქმეთა მმართველის მ.დ.ა. **რ. ჭელიძე.**

1938 აპრილის 23 № 491.
თბილისი.

---

61. იმ დოკუმენტების ნუსხის დამატების შესახებ, რომლებითაც გადახდევინება სწარმოებს სანოტარო ორგანოების სააღსრულებო წარწერების საფუძველზე.

1. საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1932 წლის 23 მაისის დადგენილების ა. კარს „იმ დოკუმენტების შესახებ, რომლებითაც გადახდევინება სწარმოებს სანოტარო ორგანოების სააღსრულებო წარწერების საფუძველზე“ (საქ. სსრ კან. კრ. 1932 წ. № 15 მუხ. 126, № 21 მუხ. 208, № 24 მუხ. 256; 1933 წ. № 1, მუხ. 26; 1934 წ. № 1 მუხ. 35; № 14, მუხ. 138; № 25, მუხ. 199; № 33, მუხ. 254; 1935 წ. № 5, მუხ. 32; № 32, მუხ. 206, 207; 1936 წ. № 7, მუხ. 52; № 12 მუხ. 76; № 23 მუხ. 140; № 34, მუხ. 207; 1937 წ. № 1, მუხ. 8; № 2, მუხ. 15; № 13, მუხ. 98) დაემატოს პუნქტი 39 შემდეგი შინაარსისა:

39) იმ დოკუმენტებით, რომლებიც ადასტურებენ სასწავლებლების მიერ დახმარების მიცემას უმაღლეს სასწავლებლებსა, უმაღლეს ტექნიკურ სასწავლებლებსა და ტექნიკუმებში კურსდამთავრებულ ახალგაზრდა სპეციალისტებისათვის, თანახმად სსრ კავშირის ცაკისა და სახკომსაბჭოს 1930 წლის 16 სექ-

ტემბრის დადგენილებისა „უმაღლესი სასწავლებლების, ტექნიკუმებისა და მუშ-ფაკების მოსწავლეთა მატერიალური უზრუნველყოფისა და უმაღლეს სასწავ-ლებლებსა და ტექნიკუმებში კურს დამთავრებულთა სამუშაოზე გაგზავნის წესის შესახებ (სსრკ კან. კრ. 1930 წ. № 47 მუხ. 488) იმ პირობებით, თუ წარმოდგენილ იქნა:

ა) ცნობა სტუდენტის მიერ უმაღლესი სასწავლებლის დამთავრების შესახებ, ბ) ცნობა, რომ კურსდამთავრებული სამუშაოდ გაიგზავნა მევალის საწარმოსა ან დაწესებულებაში, გ) ცნობა მიცემული დახმარების რაოდენობის შესახებ, დ) ასლი მევალის უწყებისა მის ანგარიშზე გაცემული დახმარების შეტანის შესახებ და ე) დაწესებულების ან საწარმოს ცნობა, რომ სპეციალისტი გამოცხადდა სამუშაოზე საგზაურით.

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს თავმჯდომარე **ვ. ბაქრაძე.**

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს საქმეთა მმართველის მ.დ.ა. **რ. ჭელიძე.**

1938 წ. აპრილის 23. № 498.
თბილისი

---

62. თელავის რაიონში 1938 წელს საგაზაფხულო კულტურების თესვის გეგმის შესახებ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. მიღებულ იქნას საქართველოს სსრ ნიწსახკომის წინადადება:

ა) შემცირდეს თელავის რაიონისათვის საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს 1938 წლის 8 თებერვლის დადგენილებით „1938 წლისათვის ძირითად სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა სახელმწიფო გეგმის შესახებ“ (საქ. სსრ კან. კრ. 1938 წ. № 3, მუხ. 12) დაწესებული გეგმა საკოლმეურნეო სექტორში საგაზაფხულო კულტურების თესვისა (წინა წლების ბალახების გამოკლებით) 3.383 ჰექტარით;

ბ) გადიდდეს ნათესები კოლმეურნეთა საკარმიდამო ნაკვეთებზე 800 ჰექტარით და ერთპიროვნულ მეურნეობებში თესვის გეგმა 768 ჰექტარით;

გ) რაიონში საგაზაფხულო კულტურების თესვის მოხსნილი გეგმის ხარჯზე—1815 ჰექტ. გადიდდეს სიმინდის ნათესები ძემდეგი რაიონების კოლმეურნეობებში:

გორის რაიონში	. . . . .	200 ჰექტ.
გურჯაანის „	. . . . .	60 „
სიღნაღის „	. . . . .	250 „

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყვარლის	რაიონში	100 ჰექტ.
ბორჩალოს	„	130 „
ლუქსემბურგის	„	80 „
ალბულახის	„	100 „
საგარეჯოს	„	200 „
ცხაკაიას	„	70 „
წულუკიძის	„	80 „
ჩხარის	„	90 „
ჭიათურის	„	70 „
ორჯონიკიძის	„	50 „
ცაგერის	„	50 „
ბალდათის	„	60 „
გეგეჭკორის	„	25 „
ხობის	„	50 „
წალენჯიხის	„	50 „
ლანჩხუთის	„	50 „
მახარაძის	„	50 „

2. წინადადება მიეცეს გორის, გურჯაანის, სიღნაღის, ყვარლის, ბორჩალოს, ლუქსემბურგის, ალბულახის, საგარეჯოს, წულუკიძის, ცხაკაიას, ჩხარის ჭიათურის, ორჯონიკიძის, ცაგერის, ბალდათის, გეგეჭკორის, ხობის, წალენჯიხის, ლანჩხუთის და მახარაძის რაიალმასკომებს დაუყოვნებლივ დაიყვანონ კოლმეურნეობებამდე ამ დადგენილებით დაწესებული დამატებითი გეგმა სიმინდის თესვისა და უზრუნველჰყონ მისი უკილობლივ შესრულება.

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარის მოადგილე **ვ. დეკანოზოვი**

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს საქმეთა მმართველის მ.დ.ა. **რ. ჭელიძე.**

1938 წ. მაისის 10. № 633.
თბილისი.

---

63. 1938 წლის მოსავლის თამბაქოს კონტრაქტაციისა და დამზადების გეგმის შესახებ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. საქართველოს სსრ-ში 1938 წლის მოსავლის თამბაქოს კონტრაქტაციისა და დამზადების გეგმა, რაც დაწესებულია სსრ კავშირის სახკომსაბჭოსთან არსებული ეკონომიური საბჭოს 1938 წლის 28 აპრილის დადგენილებით— 15.554 ტონის რაოდენობით, განაწილდეს ავტონომიური რესპუბლიკებსა და რაიონებს შორის რაოდენობისა და ასორტიმენტის მიხედვით, თანახმად დანართისა № 1.

ეროვნული ბიბლიოთეკა

2. 1938 წელს თამბაქოს დარგვის საერთო გეგმის ფარგლებში განაწილებულ იქნას 50 ჰექტარი სასიგარე თამბაქო, აქედან:

აფხაზეთის ასსრ	40 ჰექტარი
აჭარის ასსრ	5 „
ზუგდიდის რაიონში	5 „

3. წინადადება მიეცეს აფხაზეთისა და აჭარის ასსრ ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებს დააწესონ თამბაქოს კონტრაქტაციის გეგმა მეთამბაქოობის ცალკეული რაიონების მიხედვით, ხოლო მეთამბაქოობის რაიონების რაიაღმასკომებმა მოახდინონ დაკონტრაქტებული თამბაქოს ჩაბარების საშუალო რაიონული ნორმებისა და ასორტიმენტის დიფერენციაცია ცალკეული კოლმეურნეობების მიხედვით, ხოლო ერთპიროვნულ მეურნეთა მიმართ—ცალკეული სასოფლო საბჭოების მიხედვით იმ ანგარიშით, რომ 1 ჰექტარიდან თამბაქოს ჩაბარების ნორმები ერთპიროვნულ მეურნეობებში იყოს კოლმეურნეობათა ჩაბარების ნორმებზე 10% მეტი.

4. ერთი ტონა დაკონტრაქტებული თამბაქოსთვის ფულადი საკონტრაქტაციო ავანსის ოდენობა დაწესდეს აფხაზეთის ასს რესპუბლიკისათვის—1700 მან. ტონაში, ხოლო საქართველოს სსრ დანარჩენი რაიონებისათვის—980 მანეთი „ტრაპიზონის“ თესლის თამბაქოში და 1.202 მანეთი „სამსუნის“ თესლის თამბაქოში.

წინადადება მიეცეს აფხაზეთის და აჭარის ასსრ ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებს დააწესონ ფულადი ავანსების ოდენობა ცალკეული რაიონებისა და ბოტანიკური ჯიშების მიხედვით, ხოლო მეთამბაქოობის ყველა რაიონის რაიაღმასკომებმა დააწესონ ავანსების მიცემა კოლმეურნეობებისათვის 30% მეტი, ვიდრე ერთპიროვნული მეურნეობისათვის.

საქართველოს სსრ-ში თამბაქოს კონტრაქტანტთა ფულადი ავანსირების საერთო გეგმა განისაზღვროს 20980,4 ათასი მანეთის რაოდენობით, აქედან აფხაზეთის ასს რესპუბლიკაში—13178,4 ათასი მან., თანახმად დანართისა № 2.

დაწესდეს საქართველოს სსრ მეთამბაქოობის ყველა რაიონისათვის ფულადი ავანსების გაცემის შემდეგი ვადები: 1938 წლის მაისში ხელშეკრულების ხელმოწერისას და დარგვის დროს—60%, 1938 წლის ივნის— აგვისტოში მოსავლის ასაღებად და დასამუშავებლად (ფართობების გაზომვის და გამარგვლის, თავის გატეხვისა და გაფუჩქვნის ჩატარების შემოწმების შემდეგ)—ავანსის საერთო თანხის—40%.

5. შენარჩუნებულ იქნას 1938 წლისათვის 1937 წელს მომქმედი ხარისხობრივი დასამზადებელი ფასები, ჯილდო—წანამატების გაცემის წესი და საკონტრაქტაციო ფულადი ავანსების დაფარვის პირობები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

6. წინადადება მიეცეს საქთამბაქონედლეულს გაითვალისწინოს ცალკე-ტრაქტაციო ხელშეკრულებებში თამბაქოს ჩაბარების შემდეგი ვადები თვეების მიხედვით:

(წლიური გეგმის %%-ით)

	1938 წ. 10 სექ-ტემბრი-დან.	1938 წ. ოქტომ-ბერი	1938 წლ. ნოემბერი	1938 წლ. დეკემბერი	1939 წლ. იანვარი	1939 წლ. თებერვა-ლი	1939 წლის 15 მარ-ტამდე
საქ. სსრ რაიონები-სათვის (აფხაზე-თის ასსრ გამო-კლებით) . . .	10	12	15	20	25	18	—
აფხაზეთის ასსრ რაიონებისათვის	—	10	15	20	25	25	5

7. ხარისხობრივი რაიონირების კონტროლის მიზნით, დაევალოს საქართველოს სსრ მიწსახკომს და საქთამბაქნედლეულს შემოიღონ თამბაქოს მთელი სამრეწველო დარგის სამინდვრე აპრობაცია, 1938 წლის დარგვით დაწყებული.

8. დაშვებულ იქნას საქართველოს სსრ მეთამბაქოობის რაიონებში (აფხაზეთის ასსრ გამოკლებით) IV, V ხარისხის „ტრაპიზონის" თამბაქოს მიღება ზონარობრივი დამუშავებით.

9. დაევალოს საქთამბაქნედლეულს დაამთავროს თამბაქოს კონტრაქტაცია 1938 წლის 25 მაისისათვის.

იმის გამო, რომ არახელსაყრელი იყო 1937 წლის მოსავლის თამბაქოს მაჩვენებლები, განსაკუთრებით ხარისხის მხრივ, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო, აფხაზეთის და აჭარის ასსრ ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტების, მეთამბაქოობის რაიონების რაიაღმასკომების, აგრეთვე სამიწათმოქმედო და დამამზადებელი ორგანიზაციების ძირითად ამოცანად სახავს ყველა აგროტექნიკური ღონისძიების, კერძოდ თამბაქოს აღებისა და მოსავლის აღების შემდეგ დამუშავების (გახმობა) დროულად და ხარისხობრივად ჩატარების საფუძველზე, მიაღწიონ 1938 წელს თამბაქოს რაოდენობრივ და ხარისხობრივ მაღალ მაჩვენებლებს.

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს თავმჯდომარის მოადგილე **ვ. დეკანოზოვი.**

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს საქმეთა მმართველის მ.დ.ა. **რ. ჭელიძე.**

1938 წ. მაისის 10. № 636.
თბილისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა 63

დანართი № 1.

საქართველოს სსრ-ში 1938 წლის მოსავლის თამბაქოს კონტრაქტაციისა და დამზადების

ბ ე ბ ო ა

ავტონომიური რესპუბლიკებისა და რაიონების დასახელება	დარგვის ფართობი (ჰექტ.)	1 ჰექტარიდან ჩაბარების ნორმა (ცენტნერ.)	თამბაქ. დამზად. და კონტრაქტ. ბაზა (ტონ.)	ა ქ ე დ ა ნ									
				I ხარისხი		II ხარისხი		III ხარისხი		IV ხარისხი		V ხარისხი	
				ტონა	%	ტონა	%	ტონა	%	ტონა	%	ტონა	%
1. აფხაზეთის ასსრ	11400	6,8	7752	38,8	0,5	310,1	4,0	1713,2	22,1	5147,3	66,4	542,6	7,0
2. აჭარას ასსრ	800	6,7	536	3,8	0,7	21,4	4,0	112,6	21,0	344,6	64,3	53,6	10,0
3. ლაგოდეხის რაიონი . . .	3310	9,7	3211	18,8	0,6	119,6	3,7	696.8	21,7	2078,3	64,7	297,5	9,3
4. სიღნაღის „ . . .	1400	8,4	1176	3,5	0,3	23,5	2,0	188,2	16,0	831,4	70,7	129,4	11,0
5. ყვარლის „ . . .	450	8,2	369	0,7	0,2	4,8	1,3	40,6	11,0	278,6	75,5	44,3	12,0
6. გურჯაანის „ . . .	150	8,0	120	0,1	0,1	1,5	1,2	9,6	8,0	93,3	77,7	15,5	13,0
7. ბორჩალოს „ . . .	2145	7,8	1666	1,7	0,1	8,3	0,5	116,6	7,0	1239,5	74,4	299,9	18,0
8. ლუქსემბურგის „ . . .	470	7,3	343	0,3	0,1	1.7	0,5	24,0	7,0	255,2	74,4	61,8	18,0
9. ზუგდიდის „ . . .	220	6,0	132	0,9	0,7	5,3	4,0	21,0	16,0	92,9	70,3	11,9	9,0
10. ჩხოროწყუს „ . . .	100	5,0	50	0,2	0,5	1,0	2,0	8,0	16,0	36,3	72,5	4,5	9,0
11. ჩობატაურის „ . . .	355	5,6	199	1,2	0,6	8,0	4,0	31,8	16,0	140,1	70,4	17,9	9,0
სულ საქართველოს სსრ-ში .	20800	7,48	15554	70,0	0,45	505,2	3,25	2962,4	19,05	10537,5	67,75	1478,9	9,5
აქედან საქ. სსრ რაიონებში (აფხაზეთის ასსრ გამოკლებ.)	9400	8,3	7802	31,2	0,4	195,1	2,5	1249,2	16,0	5390,2	69,1	936,3	12,0

ეროვნული ბიბლიოთეკა

დანართი № 2.

გეგმა 1938 წლის მოსავლის თამბაქოს კონტრაქტანტთა ფულადი ავანსირებისა

ავტ. რესპუბლიკებისა და რაიონების დასახელება	კონტრაქტაციის გეგმა (ტონნებით)	ა ქ ე დ ა ნ		საკონტრაქტ. ავანსის ოდენ. (ერთ ტონაში)		ავანსის საერთო თანხა (ათ. მან.)	ა ქ ე დ ა ნ	
		ტრაპიზონი	სამსუნი	ტრაპიზონი	სამსუნი		1938 წ. II კვარტ.	1938 წ. III კვარტ.
აფხაზეთის ასსრ	7752,0	—	—	—	—	13178,4	7907,0	5271,4
აჭარას ასსრ	536,0	214,4	321,6	980	1202	596,7	358,0	238,7
ლაგოდეხის რაიონი	3211,0	3211,0	—	980	—	3146,8	1888,1	1258,7
სიღნაღის „	1176,0	1176,0	—	980	—	1152,5	691,5	461,0
ყვარლის „	369,0	369,0	—	980	—	361,6	216,9	144,7
გურჯაანის „	120,0	120,0	—	980	—	117,6	70,6	47,0
ბორჩალოს „	1666,0	1666,0	—	980	—	1632,7	979,6	653,1
ლუქსემბურგის „	343,0	343,0	—	980	—	336,2	201,7	134,5
ზუგდიდის „	132,0	—	132,0	—	1202	158,7	95,2	63,5
ჩხოროწყუს „	50,0	—	50,0	—	1202	60,1	36,1	24,0
ჩოხატაურის „	199,0	—	199,0	—	1202	239,1	143,5	95,6
ხულ საქართველოს სსრ-ში აფხაზეთის ასსრ გამოკლებით	**7802,0**	**7099,4**	**702,6**	**980**	**1202**	**7802,0**	**4681,2**	**3120,8**
ხულ საქართველოს სსრ-ში	**15554,0**	—	—	—	—	**20980,4**	**12588,0**	**8392,4**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ჩაბარდეს პირველ რიგში
ხელწერილის ქვეშ

ფასი 20 კაპ.

გამომცემელი ხაქ. ხსრ ხ. კ. ხ-ოს / ხაქმ. მმართველობა 1938 წ. № 26 პ/მ. რედაქტორი ი. შელეგია

ქაღალდის ფორმატი 62×94 სმ; 3/4 ბეჭდვ. ფურც.; 1 ბეჭდვ. ფურც. 48.500 სტამბ. ნიშანი.
გადაეცა სტამბას 31/V 1938 წ. ხელმ. დასაბეჭდად. 27/VI. ტირაჟი 2000

მთ. რწმ. № 2965 ხაქ. ხახ. კომ. საბჭოს ხაქმ. მმართ. სტამბა, თბილისი. დაკვ. № 652